

საქართველოს კანონი

„სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის
თაობაზე

მუხლი 1. „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №26, 5.09.2003, მუხ.195) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-7 მუხლის 29-ე და 30-ე პუნქტები ამოღებულ იქნეს.

2. მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2. 2018 წლის 1 მარტამდე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ამ კანონიდან გამომდინარე ცვლილებები შეიტანოს კომისიის დადგენილებებით დამტკიცებულ შესაბამის ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში.

მუხლი 3

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლი ამოქმედდეს 2018 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

23 დეკემბერი 2017 წ.

N1930-რს

